ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 213 (4723) 1972 წ. 26 ოქტომბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ვადამდე მოპოვებული პირველი ადგილი

მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებას ერთი წრე აკლია, თბილისის ნაკრებს უკვე შეიძლება მივულოცოთ გამარჯვება: ბოლო ტურის ვერც ერთი შეხვედრა მის მდგომარეობაზე გავლენას ვეღარ მოახდენს. გუნდმა 4 ქულა დააგროვა და ლოძის კალათბურთელებთან წაგების შემთხვევაშიც კი სატურნირო ცხრილის უმაღლეს საფეხურზე დარჩება.

თბილისელებს პირველობა უზრუნველყოფილი უკვე მოსკოვის „სპარტაკთან" გამარჯვების შემდეგ ჰქონდათ, მაგრამ მდგომარეობა საბოლოოდ გამოიკვეთა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მარცხით გამწარებულმა „სპარტაკმა" გუშინწინ ფარ-ხმალი დააყრევინა მეორე პოტენციურ ლიდერს — ლოძის ლკს-ს.

ამ შეხვედრაზე საგანგებოდ ქნდა შევჩერდეთ, ვინაიდან იგი ერთობ დაძაბული და დრამატული გამოდგა. ლოძის გუნდის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ პოლონეთის ჩემპიონის თამაშს აკლია დამაჯერებლობა და, რაც მთავარია, სიმწყობე. მწვრთნელი, მაგალითად, ამას მოთამაშეთა დაღლილობით ხსნის (მძიმე და მომქანცველი ჩემპიონატი შინ და წამყვანი კალათბურთელების გამოსვლა ევროპულ ფორუმში). რას იზამ, ეს მართლაც ანგარიშგასაწევი არგუმენტია. პოლონეთის ჩემპიონი ყოველ მატჩს თბილისში მონდომებულად ატარებს, ასე რომ, წარმატების სურვილს მას ვერ წაართმევ. მაგრამ მარტო მონდომება არ არის საკმარისი წარმატებისთვის ისეთ ტურნირში, სადაც სხვებიც გააფთრებით იბრძვიან.

პირველ ნახევარში ბრძოლა თანაბარი იყო. პოლონელები გაბედულად და აზარტით უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ „სპარტაკს" გარკვეული უპირატესობა ჰქონდა სისწრაფეში. ამასთან, მოსკოველმა კალათბურთელებმა წარმატებით გადაჭრეს სიმაღლის პრობლემა და ორივე ფარს საიმედოდ დაეპატრონენ. ლკს-ს 30 წუთის მანძილზე ეყო ძალა გამკლავებოდა მეტოქეს, მაგრამ მატჩის მიწურულს დაიღალა და დამარცხდა — 63:75 (35:37). ამ წაგებით მან I ადგილზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა (გამარჯვების შემთხვევაში გუნდს I ადგილზეც შეეძლო ეფიქრა, თუ, რა თქმა უნდა, ბოლო მატჩს მოუგებდა თბილისის ნაკრებს).

პირველი წარუმატებლობის შემდეგ აშკარად ფორმაშია ვარშავის აზს. პოლონელი სტუდენტების ლამაზი და ცეცხლოვანი თამაში ხიბლავს მაყურებელს. სწორედ ამიტომ ბოლო დღეებში ამ გუნდს ბევრი გულშემატკივარი გაუჩნდა. ვარშაველებმა კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელებთან ორთაბრძოლაში — 68:40 (41:18).

თბილისის უფროსთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრაში უპირატესობა ლიდერის მხარეს იყო. ახალგაზრდულმა გუნდმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა ძლიერ მეტოქეს (28:32), შესვენების შემდეგ კი აშკარად დათმო პოზიციები — 53:76.

ნ. ბუზუშვილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნაკრები (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 289—209 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 4 | 3 | 1 | 259—240 | 3 |
| აზს (ვარშავა) | 4 | 2 | 2 | 253—231 | 2 |
| ლკს (ლოძი) | 4 | 2 | 2 | 257—256 | 2 |
| ახალგაზრდ. ნაკრები (თბილისი) | 4 | 1 | 3 | 221—261 | 1 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 4 | 0 | 4 | 203—285 | 0 |

## გუნდური ტურნირის ჩემპიონები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ მინსკში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. თბილისელებმა ვ. სალუქვაძემ და გ. თავდიდიშვილმა გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მოიპოვეს. დინამოელმა თავდიდიშვილმა ი. ჟელეზნიაკთან, ა. ბუცისთან და მ. იიგისთან ერთად „გაქცეულ ტახზე" სროლაში 1486 ქულა მოაგროვა (მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი). მათ 17 ქულით აჯობეს II ადგილზე გასულ შეიარაღებული ძალების პირველ კოლექტივს.

აღსანიშნავია, რომ თავდიდიშვილი პირად ტურნირში საუკეთესო აღმოჩნდა. თავდაპირველად, როცა 50-მეტრიან ტირში „ტახი" შედარებით ნელა გარბოდა, გურამმა 198 ქულა მოაგროვა, ხოლო შემდეგ, როცა სამიზნემ უფრო სწრაფად იწყო რბენა, თავდიდიშვილმა ისევე ბრწყინვალედ ისროლა და 200-დან 197 ქულას მიაღწია. საბოლოოდ მას 395 ქულა დაუგროვდა, რაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივზე ბევრად უკეთესია და 24 ქულით აღემატება თბილისელი ს. ქუსიკაშვილის მიერ შარშან დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს. თავდიდიშვილმა მანამდე მეექვსე შედეგი აჩვენა „გაქცეულ ირემზე" სროლაში — 235 ქულა. ეს კი მის რესპუბლიკურ რეკორდზე ქულით ნაკლებია.

ვ. სალუქვაძე ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში შეიარაღებულ ძალთა მეორე გუნდის ინტერესს იცავდა ა. კრასტელევსკისთან, ვ. პეტროვთან და ვ. ჩიჩკოვთან ერთად. ამ კვარტეტმა 2243 ქულა მოაგროვა, რაც 30 ქულით სჯობს II ადგილზე გასული არმიელთა პირველი კოლექტივის მაჩვენებელს და 4 ქულით — მსოფლიო რეკორდს.

* * *

სურათებზე: ზევით — ვ. სალუქვაძე ასპარეზობისთვის ემზადება; ქვევით — გ. თავდიდიშვილი ცეცხლის ხაზზე.

ო. გელაშვილის ფოტოები.



## პიონერები დიდოსტატების „წინააღმდეგ"

1 ნოემბერს მოსკოვში იწყება ერთობ საინტერესო შეჯიბრება — პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა ტურნირი: ექვსი ნორჩისგან შემდგარ ყოველ გუნდს სათავეში ჩაუდგება ამ სასახლის აღზრდილი დიდოსტატი. მოსკოვის ნაკრებს ვ. სმისლოვი უთავკაცებს, ლენინგრადისას — ბ. სპასკი, თბილისისას — ტ. პეტროსიანი, რიგისას — მ. ტალი, კიევისას — დ. ბრონშტეინი და ჩელიაბინსკისას — ა. კარპოვი.

უმაღლესი საჭადრაკო წოდების მფლობელები გუნდების არა მარტო თავისებური მწვრთნელები და კაპიტნები იქნებიან, არამედ, ნორჩების მსგავსად, თავადაც მიუსხდებიან საჭადრაკო დაფებს: თითოეული დიდოსტატი ყველა სასახლის ნორჩებს, გარდა „თავისიანებისა", საათით ერთდროული თამაშის სეანსს ჩაუტარებს. დიდოსტატის დაგროვილი ქულები მიემატება „მისი" გუნდის მიერ დანარჩენ დიდოსტატებთან სეანსებში მოპოვებულ ქულებს. ცხადია, გაიმარჯვებს ის ნაკრები, ვისაც ქულათა საუკეთესო ჯამი აღმოაჩნდება.

ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამ ტურნირის მთავარი არბიტრია მ. ბოტვინიკი, შეჯიბრება კი სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში 8 ნოემბრამდე გასტანს.

## იღბლიანი მიტელშპილი

თბილისელმა ოსტატმა ე. უბილავამ წარუმატებლად დაიწყო სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელიც თბილისის ოფიცერთა სახლში ტარდება: პირველ ოთხ ტურში მან სულ 1 ქულა მიიღო. სამაგიეროდ, სატურნირო მიტელშპილი თბილისელისთვის იღბლიანი გამოდგა — ხუთ შეხვედრაში უბილავამ 4,5 ქულა მოაგროვა და ახლა ლიდერთა ჯგუფშია.

IX ტურში უბილავა გამოცდილ საერთაშორისო ოსტატს ლ. ცინს (გდრ) ხვდებოდა. თბილისელი შავებით თამაშობდა, ხელთ იგდო ინიციატივა და ბოლოს თავისთვის ძალიან ხელსაყრელ მხედრების ენდშპილს მიაღწია. მისი მეფე ლაზიერების ფლანგზე შეიჭრა და ამან გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი: როცა აშკარა გახდა, რომ შავების გამსვლელი პაიკის შეჩერება აღარ მოხერხდებოდა, გერმანელი ოსტატი დანებდა.

მეორე თბილისელ ოსტატს ა. იზვოზჩიკოვს ბედი არ სწყალობს, თუმცა ამაში თვითონ არის დამნაშავე: ყოველ პარტიაში ძლიერ ცაიტნოტში ხვდება. IX ტურში იზვოზჩიკოვმა კარგად დაიწყო პარტია ე. ნოვაკთან (ჩეხოსლოვაკია), მაგრამ ცაიტნოტში არა მარტო დაკარგა ეს უპირატესობა, არამედ შამათიც მიიღო.

რიგელმა ი. კლოვანმა ენერგიულად ჩაატარა შეხვედრა ლ. ვადასთან (უნგრეთი). უნგრელი ოსტატი მეტოქის ძლიერი იერიშის მოსაგერიებლად იძულებული გახდა ფიგურა შეეწირა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. როცა კლოვანის გამსვლელმა პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია, ვადამ თავი დამარცხებულად ცნო.

ყაიმით დამთავრდა ვ. ქურაულიოვისა (რიგა) და მ. პოდგაეცის (ოდესა) შეხვედრა. სამი პარტია გადადებულია. მოსკოველ ვ. ლიბერზონს ორი ზედმეტი პაიკი აქვს ეტლების ენდშპილში ი. ადამსკის (პოლონეთი) წინააღმდეგ. ე. პრანდშტეტერს (ჩეხოსლოვაკია) პოზიციური უპირატესობა შეექმნა ეტლების დაბოლოებაში რ. პოსტლერის (გდრ) წინააღმდეგ.

რთულ ენდშპილშია შეწყვეტილი ა. ლოკასტოსა (პოლონეთი) და ა. ოჟვატის (უნგრეთი) პარტია.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები: ქურაულიოვს 6,5 ქულა აქვს, პოდგაეცს — 6, უბილავასა და კლოვანს — 5,5-5,5.

ა. ბუხლაევი,
სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი



## საშიშ ზონაში

გუშინწინ ტაშკენტში დაიწყო სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XI ჩემპიონატის დასკვნითი, მეორე წრის თამაშები.

თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა მასპინძელთა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდს. გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა — 14:13.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — „კუნცევო" (მოსკოვი) 18:13, ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტი — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" 20:11, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — კრასნოდარის უნივერსიტეტი 13:13.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 8 | 6 | 1 | 1 | 147—115 | 13 |
| მეტალურგ. ინსტ. (ზაპ.) | 8 | 6 | 0 | 2 | 112—83 | 12 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 8 | 3 | 4 | 1 | 113—108 | 10 |
| უნივერსიტეტი (კრასნოდ.) | 8 | 2 | 4 | 2 | 107—106 | 8 |
| ცსკა | 8 | 2 | 3 | 3 | 117—127 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (თბ.) | 8 | 2 | 1 | 5 | 100—114 | 5 |
| „ალუმინსტროი" (ზაპ.) | 8 | 2 | 1 | 5 | 98—123 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. (ტაშკენტი) | 8 | 1 | 2 | 5 | 117—135 | 4 |

როგორც ხედავთ, სატურნირო ცხრილში თბილისელთა მდგომარეობა ამჟამად ერთობ არასახარბიელოა. ახლა მათთვის თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა უმაღლეს ლიგასაც კი გამოემშვიდობონ.

## ვინ იქნება პირველი რეკორდსმენი?

28 და 29 ოქტომბერს ქუთაისში ჩატარდება ძალოსანთა შეჯიბრება საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადის პროგრამით. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ტურნირში 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობენ. იქვე პარალელურად რესპუბლიკის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ უძლიერესი სპორტსმენები ასაკის განურჩევლად.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ამასწინანდელმა სხდომამ შეიმუშავა და დაამტკიცა რესპუბლიკის რეკორდების სარეგისტრაციო ნორმატივები სპორტის ამ სახეობაში (აჯიმვა ამოღებულია). საწყის ნორმატივებზე იერიშს სწორედ ქუთაისში მიიტანენ.

საწყისი ნორმატივები ასეთია:

| | მოზრდილები | | | იუნიორები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წონა | ატაცი | აკვრა | ორჭიდი | ატაცი | აკვრა | ორჭიდი |
| 52 კგ | 85,5 | 112,5 | 195 | 72,5 | 100 | 170 |
| 56 | 102,5 | 125 | 225 | 87,5 | 112,5 | 195,0 |
| 60 | 122,5 | 156 | 275 | 93 | 133 | 220 |
| 67,5 | 122,5 | 156 | 275 | 111 | 145 | 250 |
| 75 | 137,5 | 171 | 305 | 118 | 145 | 257,5 |
| 82,5 | 140 | 184 | 320 | 130 | 172,5 | 297,5 |
| 90 | 150 | 187,5 | 335 | 147,5 | 187,5 | 330 |
| 110 | 160 | 200 | 355,0 | 152,5 | 190 | 337,1 |
| მძიმე | 155 | 200 | 355,0 | — | — | — |

# ხანძარზე ძლიერი ფოთელები

ამ რამდენიმე თვის წინ რუსთავში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. ფოთის წარმომადგენლები მაშინ შესანიშნავად გამოვიდნენ და საპრიზო ადგილების უმეტესობა დაისაკუთრეს. ფოთელთაგან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა სპორტის ოსტატ გივი ბუკიას გამოსვლამ.

ახლა რუსთავში ოთხ დღეს გაგრძელდა ნორჩ მეხანძრეთა IV რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა. ფოთის გუნდი ისევ გ. ბუკიამ ჩამოიყვანა, ოღონდ ამჯერად იგი მწვრთნელი იყო. ბუკიას აღსაზრდელებმა თავი ისახელეს.

15-16 წლის ჭაბუკები დაბრკოლებათა 80-მეტრიანი ზოლის გადალახვაში და სასწავლო კოშკის მეორე სართულზე საიერიშო კიბით ასვლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო 17-18 წლის ჭაბუკები 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში, სახანძრო ესტაფეტაში 5×80 მეტრზე, საბრძოლო გაშლასა და სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლაში.



ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, მახარაძის, ახალციხის, გორის, სამტრედიისა და რუსთავის ნაკრები გუნდები.

80-მეტრიანი ზოლის გადალახვაში სამივე საპრიზო ადგილი ფოთელ მეხანძრეებს ბ. ჭანტურიას (17,3 წამი), მ. კარანაძესა (17,6) და ზ. ღლანიძეს (17,8) ხვდათ წილად. 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში ჩემპიონი გახდა მ. თალაკვაძე (ფოთი) — 19,1. II ადგილზეა რ. სიხარულიძე (აჭარა) — 19,8, III — ვ. ლუკიანოვი (აფხაზეთი) — 20,4. 5×80 მეტრზე ესტაფეტაში ერთნაირი შედეგი (1.18,0) აჩვენეს ფოთისა (თალაკვაძე, კარანაძე, დ. ჯაში, ზ. ხოშტარია, ი. იანკელაიტი) და თბილისის (შ. დევნოზაშვილი, ტ. ხურცილავა, ა. კულდონაშვილი, დ. ლომიაშვილი, ზ. ბატიაშვილი) გუნდებმა. III ადგილზეა ქუთაისის კოლექტივი — 1.19,0.

საბრძოლო გაშლაში ყველას აჭარის სპორტსმენებმა აჯობეს — 51,6 წამი. მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ახალციხისა (57,7) და მახარაძის (59,5) ნორჩ მეხანძრეებს.

საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეორე სართულზე ასვლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ღლანიძე (ფოთი), ს. კოშინი (ახალციხე) და ჭანტურია (ფოთი).

საიერიშო კიბით მესამე სართულზე ყველაზე სწრაფად (13 წამში) ავიდა იანკელაიტი. ახალციხელმა კ. ჩარბუჟიანმა მასთან 2,5 წამი წააგო. III ადგილზეა რ. გოგოლაძე (რუსთავი) — 16,0.

საერთო გუნდური გამარჯვება წილად ხვდათ ფოთელებს — 14,5 საჯარიმო ქულა. II ადგილზე არიან ახალციხის — 20,5, III კი აფხაზეთის წარმომადგენლები — 24,5 ქულა.

რ. ბაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •



სურათებზე: დაბრკოლებათა 80-მეტრიანი ზოლის გადალახვის მომენტი; საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლა.

ავტორის ფოტოები.

## ორი პრიზიორი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, კიროვაბადში გაიმართა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პირად-გუნდური შეჯიბრება ჭაბუკ ძალოსანთა შორის. შეჯიბრებაში 16-17 წლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ (ფიცარნაგზე უმცროსი ასაკის ნიჭიერი ათლეტებიც დაუშვეს).

საქართველოდან ტურნირში ორი ძალოსანი გამოდიოდა და ორივემ უმძიმეს წონით კატეგორიაში იასპარეზა. სოხუმელმა ო. კარაიამიდიმ („განთიადი") 80-კილოგრამიანი შტანგა აჰკრა, 100 კგ აიტაცა და ორჭიდში 180 კილოგრამის მოგროვებით გაიმარჯვა. თბილისელი გ. სიფათაშვილი („კოლმეურნე") III ადგილზე გავიდა — 172,5 (77,5+95).

საკდესი მოგვითხრობს

## ოლიმპიელთა კლუბი

24 ოქტომბერს ვილნიუსის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა ოლიმპიელთა კლუბი. მისმა წევრებმა — ამ უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილებმა, რომლებმაც ოთხ ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა, მიზნად დაისახეს დიდ სპორტში ესტაფეტა ნიჭიერ ახალგაზრდობას გადასცენ.

მომავალმა მასწავლებლებმა, ოლიმპიელებთან პირველი შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, ამჟამად ვილნიუსის კრივის სპეციალიზებული სკოლის დირექტორის დ. პოზნიაკის, სამი ოლიმპიადის პრიზიორის, ახალგაზრდა ნიჩბოსანთა სკოლის ხელმძღვანელის ზ. იუკნას, მიუნჰენის თამაშების ვერცხლის პრიზიორის, სტუდენტ ნ. საბაიტესა და ოთხი მატერიკის ოლიმპიურ სარბიელზე მოასპარეზე სხვა სპორტსმენების ბიოგრაფიები.

ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის სტენდი მოგვითხრობს სსრ კავშირის, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებსა და პრიზიორებზე, რომლებიც აქ აღიზარდნენ. კათედრას ხელმძღვანელობს ლიტვის სსრ დამსახურებული მწვრთნელი პოვილას კარობლისი, რომელმაც, ისევე როგორც მისმა მეუღლემ — რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ფელიცია კარობლენემ 1972 წელს ერთი სსრ კავშირისა და ერთიც ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა.

მწვრთნელებთან და ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან ერთად კლუბის წევრებმა „ოლიმპიური იმედების" შერჩევისა და მომზადების გზებზე ითათბირეს.

ვილნიუსი.

## ლიტვაში პირველი

კლაიპედაში გაიხსნა ახალი ფიზკულტურული კომპლექსი მოსწავლეებისთვის — ლიტვაში პირველი ახალგაზრდული სპორტული ქალაქი. ბაზას აქვს კალათბურთისა და მოთელვის დარბაზები, საცურაო აუზი. იქვე გვერდით მოწყობილია სტადიონი საფეხბურთო მინდვრით, სპორტული თამაშების მოედნებით, მძლეოსნური სექტორებით.

ახალ კომპლექსში განაწილდნენ სპეციალიზებული ბავშვთა სპორტული სკოლები. კალათბურთის სკოლიდან, მაგალითად, დიდ სპორტში გზა გაიკაფა საბჭოთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანმა მოდესტას პაულაუსკასმა.

წლეულს კლაიპედას სხვა სპორტული ბაზებიც შეემატა. ადგილობრივი ფიზკულტურელები მუშაობისგან თავისუფალ საათებში მშვილდოსნობის პოლიგონისა და საჭადრაკო კლუბის მშენებლობაზე მუშაობდნენ. ახალი კორტები მიიღეს ჩოგბურთელებმა. ველოსიპედისტებმა მიტოვებული საწყობი გამოიყენეს და მყუდრო საწვრთნელი მანეჟი მოაწყვეს. შენდება კიდევ ერთი საცურაო აუზი მოსწავლეებისთვის. რამდენიმე ძველი შენობა ჭიდაობისა და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზებად გადააკეთეს.

კლაიპედა.

## ქარხნის საპატიო სპორტსმენი

ელეცის ქარხანა „გიდროპრივოდში" „ქარხნის საპატიო სპორტსმენის" წოდება შემოიღეს. პირველად ეს სახელი მხიარულ სპორტსმენთა კლუბის ხელმძღვანელმა ნ. ზუევმა დაიმსახურა.

ეს უჩვეულო კლუბი უაღრესად მასობრივია. შაბათ-კვირას და ისე დღეებშიც, სამუშაო საათების დამთავრების მერე, ქარხნის ეზოში მოწყობილ სპორტულ მოედანზე ასობით მუშა და მოსამსახურე იყრის თავს. მათ შორის გულშემატკივრები არ არიან — ყველა მონაწილეა „მხიარული შეჯიბრებისა". აი, ორი ჯგუფი ხუმრობა-ლაღობით ბაგირის გადაძალვაში ეჯიბრება ერთმანეთს. მეორეგან ტომრიანი მხტომელები და ოჩოფეხებით მორბენლები „ასპარეზობენ". ისმის ხარხარი, მხიარული ყიჟინა. ერთი სიტყვით, ზუევს ათასი სასარგებლო გასართობი აქვს მოფიქრებული მსურველებისთვის.

მხიარულ სპორტსმენთა კლუბიდან მუშა-მოსამსახურეები ფიზკულტურულ სექციებში ნაწილდებიან. საწარმოში თერთმეტი ფეხბურთელთა და ამდენივე ფრენბურთელთა გუნდია. ბევრი მუშა გატაცებულია მძლეოსნობით და ძალოსნობით, სამბოთი და კრივით. ამას წინათ ქარხანაში დამთავრდა საზაფხულო სპარტაკიადა, რომელშიც 500 კაცზე მეტი მონაწილეობდა. ყველამ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

ვ. გოლაჩევი.

ელეცი,
ლიპეცკის ოლქი.

## სტიქიას წინ აღუდგნენ

ყაზახეთის დედაქალაქის მახლობლად მშენებარე მედეოს უნიკალურ სპორტულ კომპლექსს ამიერიდან თოვლის ზვავების თავდასხმა აღარ ემუქრება: გორა მოხნატაიას ციცაბო ზვავსაშიშ ფერდობზე, საიდანაც მაღალმთიანი საციგურაოს რაიონს საფრთხე ემუქრებოდა, დამთავრდა ალმაათელი ინჟინრების მიერ კონსტრუირებული დაცვითი ნაგებობების სპეციალური სისტემის მონტაჟი. გამოცდილი მთამსვლელების რაზმმა აქ ფოლადის ხიმინჯებზე ასობით ფარი დააყენა. ამრიგად, შექმნილია მყარი იარუსები ზვავის წარმოქმნისთანავე თოვლის სტიქიონის შესაჩერებლად. ფარის წინაღობათა საერთო სიგრძე ხუთ კილომეტრს აღემატება.

ზვავსაწინააღმდეგო სისტემას უფრო საიმედოს გახდის სატყეო ნარგავები. სემირეჩენსკელმა მეტყევეებმა ამ მიზნით მოხნატაიაზე გაახარეს ტიანშანის ნაძვი, არყის ხე, ტირიფი და ჯალველი. ახლომდებარე მთებიდან ამ გორაზე სხვადასხვა ბუჩქნარს გადარგავენ.

მედეოს გზა გადაუკეტეს, აგრეთვე, „მთების ურჩხულებს" — ქვანარევი ტალახის ნაკადებს: მოციგურავეთა ახალი სპორტული კომპლექსის თავზე აღიმართა გიგანტური ქვაყრილი კაშხალი, რომლის სიმაღლე 30-სართულიან სახლს უდრის.

ალმა-ათა.

# მშდ ლაკერუზის ყურეში

მაროკოს საპორტო ქალაქ საფის მცხოვრებნი გაოცდნენ, როცა საბჭოთა თბომავალ „კრასნაია გორკას" მეზღვაურებმა გემის გადმოტვირთვის დროს სტადიონზე ტრადიციისამებრ ფეხბურთში კი არ გამართეს მატჩი, არამედ იმ ადგილებისთვის უჩვეულო შეჯიბრება დაიწყეს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელყუმბარის ტყორცნაში, ღერძზე მიზიდვაში, ბაგირის გადაძალვაში. გაოცება მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა საბჭოთა მეზღვაურებმა მაყურებლებს აუხსნეს, რომ გემის სპარტაკიადას ატარებდნენ.

ბალტიის ზღვის ნაოსნები, რომელთაც ახლახან ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცათ, რიგით მეთვრამეტე სპარტაკიადას ატარებენ დევიზით: „ყოველი მეზღვაური — მშდ კომპლექსის ნიშნოსანი". ამის გამო გემების ეკიპაჟის შეჯიბრებათა პროგრამაში ახალი სპორტული კომპლექსის ყველა სახეობაა შეტანილი.

ნორმატივების ჩაბარებისთვის სერიოზულად მოემზადნენ. გემებზე აქტიურად მუშაობს სპეციალური ჯგუფები, სადაც მეზღვაურები საპასუხისმგებლო სტარტებისთვის ემზადებიან. ამ ჯგუფების „სასწავლო პროგრამაში" შედის ფიზკულტურული და სპორტული ცოდნა, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, სამოქალაქო თავდაცვის საკითხები, დილის ვარჯიში. ეს პუნქტები ყოველმა მეზღვაურმა უნდა შეასრულოს, რაც ერთგვარი საშვია მშდ კომპლექსის გამოცდებისთვის.

30-ან წლებში ბალტიის მეზღვაურები მშდ პირველი კომპლექსის ენთუზიასტები იყვნენ. შემდეგ, ომის მკაცრ წლებში, ნიშნოსანი მეზღვაურები გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. ლუჟსკის რაზმის პარტიზანებმა, რომელთაც კომუნისტი სპორტსმენი-თანრიგოსანი ბ. ხირხასოვი მეთაურობდა, ბევრი გმირული ოპერაცია შეასრულეს მტრის ზურგში. ვეტერანი ახლაც სანაოსნოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრია.

ახალგაზრდობა წმიდად იცავს მამათა ტრადიციებს. 26 აგვისტოს, როცა მიუნჰენში ოლიმპიური ცეცხლი აინთო, ს. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში საზეიმოდ გაიხსნა ლენინგრადელ მეზღვაურთა სპარტაკიადის ფინალური ნაწილი. ამ სპორტული ზეიმის ხუთი დღის მანძილზე ასობით მონაწილემ ჩააბარა ნორმატივები. ახალი სამკერდე ნიშნის ლაურეატთა შორის იყო თბომავალ „ნაზარ გუბინის" კაპიტნის პირველი თანაშემწე ო. ლოპოტკოვიც. 41 წლის კაცმა ახალგაზრდებს აჯობა ნორმატივების ჩაბარებაში. სპორტის თავგამოდებულმა პროპაგანდისტმა, მაგიდის ჩოგბურთში პირველთანრიგოსანმა და საზოგადოებრივმა მწვრთნელმა „ვილნიუსზე" სამსახურის პერიოდში ჩოგბურთელები I ადგილზე გაიყვანა სანაოსნოს ჩემპიონატში. მეზღვაურები ამბობენ; ახლა „ნაზარ გუბინის" სპორტსმენებიც დაწინაურდებიანო.

სანაოსნოს ფიზკულტურის კომიტეტში ყოველდღე მოდის რადიოგრამები გემებიდან.

„იჟევსკიდან" ცნობა მოვიდა: „ანტვერპენში მეზღვაურთა საერთაშორისო სპორტულ კვირეულში მივიღეთ მონაწილეობა. 33 კაცი გამოვიდა 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. შეჯიბრების დროს ბევრმა მშდ კომპლექსის IV საფეხურის ნორმატივები შეასრულა".

მსოფლიოს ბევრ ქალაქში უკვე იციან მშდ კომპლექსის მნიშვნელობა. საბჭოთა მეზღვაურები ყველგან თან დაატარებენ ფიზიკური აღზრდის ამ სიმბოლოს.

ს. გავრილოვი.

ლენინგრადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ გესტუმრებით, მთებო!







სურათებზე: მწვერვალი გორი; მოლაშქრეთა ერთი ჯგუფი მწვერვალის მისადგომებთან; ალპინიადის მონაწილენი რ. ჭეჭელაშვილი (ეკონომიკის ფაკულტეტი) და თ. ჭუმბაშვილი (მათემატიკის ფაკულტეტი) თავისუფალ დროს ჭადრაკს თამაშობენ. თამაშს თვალს ადევნებენ უნივერსიტეტის თანამშრომელი, ჟურნალისტი გ. მანია და ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი ჭ. ფილფანი; მეოთხე ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ) აღბეჭდილი არიან ნ. კილოვანი (ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული), პ. ნაცვლიშვილი (ჟურნალისტიკის განყოფილება), ნ. მამუკელაშვილი და თ. თოფურიძე (ორივე — ბიოლოგიის ფაკულტეტი) ძირითად ბანაკში — ხდის ხეობაში. ისინი ბუნების სიმშვენიერით ტკბებიან.

ავტორის ფოტოები.

საბჭოთა ალპინიზმის პირველი მერცხლები თბილისის უნივერსიტეტიდან აფრინდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმა ჩვენმა უნივერსიტეტელმა დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლებით. პერსპექტიულ მთამსვლელთა გამოვლენასა და შერჩევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა ალპინიადებს, რომლებიც ყოველ წელიწადს ეწყობა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და 28 სექტემბერს ალპინიადის მონაწილენი ყაზბეგის რაიონისკენ გავემართეთ.

## ხდის ხეობა და მისი დროებითი ბინადარნი

მისვლისთანავე იქ, სადაც დარიალის ხეობაში მდინარე ხდე არაგვს უერთდება, ავიკიდეთ ჩვენი გუდა-ნაბადი და აღმართს შევუყევით.

ხდის ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია ყაზბეგის რაიონში. ხეობაში ბუბუნებს პატარა, მაგრამ ბობოქარი მდინარე ხდე, რომელიც გზადაგზა დიდსა თუ პატარა ჩანჩქერებს ქმნის. ხდის სათავეებიდან ბევრი ყინვარი გადმოგვყურებს, ხოლო ქვემოთ, დასავლეთით, „ხევის პატარძალი" — მყინვარწვერი მოჩანს.

... კარგა ხნის სიარულის შემდეგ ხეობის ერთი ნაწილი 60-მდე ნაირფერი კარვით მოვფინეთ და ანძაზე საქართველოს ალამი ავმართეთ. ექსპედიციის მონაწილეთა შორის არიან ალპინიადის ხელმძღვანელი, სპორტის საპატიო ოსტატი, ფიზიკის ფაკულტეტის კათედრის დოცენტი შ. მირიანაშვილი, მისი მოადგილე, ცნობილი მთამსვლელი, მხატვარი დ. დანგაძე, ალპინიადის სასწავლო ნაწილის უფროსი, უნივერსიტეტის ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ბაქრაძე...

ჩვენს შორის თანრიგოსანი მთამსვლელებიც არიან, მაგრამ უმეტესობა მაინც ახალბედაა. ხდის ხეობის დროებით ბინადართა შორის არიან პრესისა და კინოს წარმომადგენლებიც: ჟურნალისტი გ. მანია და სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორი ვ. ახიტაშვილი. სულ კი ალპინიადაში 170-მდე კაცი მონაწილეობს.

## მოლაშქრეთა საქმიანობა

ალპინიადის მეორე დღეს ხელმძღვანელობამ მთელი ჯგუფი ათეულებად გაყო. თითოეულ ათეულს გამოცდილი მთამსვლელი დაუნიშნეს ხელმძღვანელად და დავიწყეთ ვარჯიში ტექნიკაში. ახალბედები განსაკუთრებით გაიტაცა მეკლდეურობაში წვრთნამ.

●

თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადა — 170-მდე მონაწილე

●

მეცადინეობის ბოლოს ბევრი მათგანი სთხოვდა მირიანაშვილს თბილისში დაბრუნებისთანავე სპორტის ამ მართლაც ლამაზი და ვაჟკაცური სახეობის სექციაში ჩაწერას.

თავისუფალ დროს ვინ ჭადრაკით ერთობოდა, ვინ კლდის ქანებს სინჯავდა. ზოგიც მცენარეულობას აკვირდებოდა, ხოლო ნაწილი მწერებითა და ფრინველებით იყო დაინტერესებული. ყოველივე ეს არცაა გასაკვირი — მოლაშქრეთა შორის ხომ ბევრი იყო ბიოლოგი, გეოგრაფი, გეოფიზიკოსი... მათ არც ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები ჩამორჩნენ: გ. მანიას თაოსნობით უნივერსიტეტის 29-ე ალპინიადის ალმანახი „დალი" გამოუშვეს.

## პოეზიის საღამო

გივანჯი მანია მოლაშქრეთა შორის მუდამ გამოირჩეოდა ახალ-ახალი იდეებით. და აი, ჟურნალისტიკის განყოფილების IV კურსის სტუდენტ პ. ნაცვლიშვილთან ერთად ახლა მან პოეზიის საღამოს მოწყობა განიზრახა. ალპინიადაში ხომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებიც მონაწილეობდნენ, რომლის თავმჯდომარე თვით ნაცვლიშვილი გახლავთ.

შებინდებისას ყველა მობანაკემ დიდ კოცონთან მოიყარა თავი. გონგის ხმაზე (გონგი მანიამ სადღაც აღმოაჩინა) მწერალთა წრის გამგეობის თავმჯდომარემ პოეზიის საღამო გახსნილად გამოაცხადა. მომდევნო გონგის ხმაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს მ. ქურდიანმა, გ. მათიაშვილმა, შ. ქალდანმა, ქ. კოლხიდელმა, ბ. ალუდაურმა, ჭ. ფილფანმა, თ. ჭუმბაშვილმა... სხვათა შორის, საერთო აღიარებით, ეს უკანასკნელი ყველაზე კარგი პოეტი იყო მთამსვლელთა შორის და ყველაზე კარგი მთამსვლელი პოეტთა შორის.

## ნაყინი და შამპანური მწვერვალზე

4 ოქტომბერს დილიდანვე დავიწყეთ სამზადისი II-ა კატეგორიის სირთულის მწვერვალ გორზე საიერიშოდ. კარვების ნაწილი ავშალეთ და შუადღისას, სრული საიერიშო აღჭურვილობით, მძიმედ დატვირთულნი გავუდექით გორის გზას. ბილიკი ჯერ ხდის ხეობაში მიიკლაკნებოდა მდინარის გასწვრივ, ხოლო, როცა მარწყვის მაღლას მივაღწიეთ, მარცხნივ გადავუხვიეთ.

როგორც იქნა, საღამოხანს შევუყევით გორის მისადგომების კლდოვან ნაშალ ფერდობს.

— აბა, სასწრაფოდ გაშალეთ კარვები! ღამეს აქ გავათევთ, მწვერვალზე გადამწყვეტ იერიშს კი დილით დავიწყებთ! — ბრძანა ალპინიადის ხელმძღვანელმა.

გაოცებულმა ახალბედებმა ერთმანეთს გადახედეს — ნეტავ აქ როგორ უნდა დავამაგროთ კარვის პალოები, ან ამ დაქანებულ ფერდობზე როგორ უნდა მოვთავსდეთო?

5 ოქტომბერს ალიონზე შევუდექით მწვერვალზე საიერიშოდ სამზადისს. 7 საათსა და 30 წუთზე ლაშქრობა დაიწყო.

ორი საათის შემდეგ ვისვენებთ და საუზმეს შევექცევით. ვიღაცამ შედედებულ რძეში თოვლი აურია და შესანიშნავი ნაყინი დაამზადა. ყველამ მას მიბაძა.

მერე კი აქ ვტოვებთ ზურგჩანთებს და იერიშს ვაგრძელებთ. სიმაღლესთან ერთად გულის ბაგაბუგიც მატულობს. განსაკუთრებით ახალბედებს უჭირთ — ხშირად თხოულობენ შესვენებას.

ბოლოს, როგორც იქნა, პირველი საათისთვის მივაღწიეთ მწვერვალს. მწვერვალის დაპყრობით გამოწვეულმა სიხარულმა ყველას დაავიწყა დაღლა. ვაშას ძახილში უცებ 4300 მეტრი სიმაღლიდან შამპანურის საცობის „აფეთქების" ხმა გაისმა: ეს ერთ-ერთი მოლაშქრის სიურპრიზი გახლდათ.

დასავლეთიდან „ხევის პატარძალი" მედიდურად დაგვყურებდა.

— გაისად საბჭოთა საქართველოს მთამსვლელობის 50 წლისთავზე აუცილებლად გესტუმრებით, — ამ სიტყვებით დავემშვიდობეთ მყინვარწვერს.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ხდის ხეობა,
ყაზბეგის რაიონი.



# ისევ 5000!

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა შედეგები 29-ე ტირაჟისა, რომელიც მოსკოვში მოეწყო.

სპორტის ხუთი სახეობის ამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 105, სამისთვის — 4 მანეთი.

29-ე ტირაჟი უჩვეულო „რეკორდით" აღინიშნა: ბათუმის ერთ-ერთმა მცხოვრებმა 44 ბილეთზე სწორად გადახაზა ოთხ-ოთხი სახეობა, ხოლო 11-ზე — სამ-სამი. საერთო ჯამში მოგებამ 4664 მანეთი შეადგინა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 27-ე ტირაჟშიც ხუთი ნომრის სწორად გადახაზვისთვის მოგება მაქსიმალური იყო. მაშინ ჩვენი რესპუბლიკიდან ორმა ამოიცნო ხუთი სახეობა. ერთმა მათგანმა უკვე მიიღო ფული, მეორე კი ჯერ არ გამოცხადებულა. გაგახსენებთ, რომ 27-ე ტირაჟის მოგებათა ანაზღაურების ვადა 10 ნოემბერს იწურება. ამ ტირაჟის მეათე სერიის № 2581120 ბილეთის პატრონს ვთხოვთ გამოცხადდეს „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე.

განვლილ 29-ე ტირაჟში ჩვენი რესპუბლიკიდან უკვე სამმა კაცმა მოიგო მაქსიმალური თანხა — 5000-5000 მანეთი 5 ნომრის ამოცნობისთვის. 184 კაცი მიიღებს 105-105, ხოლო 4154 — 4-4 მანეთს.

„სპორტლოტოს" საზღვრები თანდათან ფართოვდება. ამ მიმზიდველ თამაშში ჩვენი რესპუბლიკის 15 ქალაქი მონაწილეობს. მარტო ბოლო ოთხ ტირაჟში 29 კაცს ხვდა დიდი მოგება. მაგალითად, თბილისის № 2 ტყავის ქარხნის კონტროლიორმა თ. ჩარკვიანმა, თბილისის მე-17 პოლიკლინიკის ექიმმა გ. მჟავანაძემ, რომელსაც იღბლიანი ბილეთი თავისმა ქალიშვილმა ნელიმ შეუვსო, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნემ ე. კეჭაყმაძემ, ბათუმელმა საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მუშაკმა გ. ხაჩატურიანმა სწორად გადახაზეს 5-5 ნომერი და დიდი მოგება მიიღეს.

30 ნოემბერს თბილისში „სპორტლოტოს" 33-ე ტირაჟი მოეწყობა. „სპორტლოტოს" ზონალური სამმართველო ამ თამაშის მოყვარულებს სთხოვს დაასახელონ ჩვენი რესპუბლიკის წლევანდელი სეზონის ხუთი საუკეთესო სპორტსმენი. ვინც მეტ ხმას მიიღებს, სატირაჟო დოლურიდან ნომრების ამოღების საპატიო უფლება მიენიჭება. ის კი, ვინც ხუთივე სპორტსმენს სწორად დაასახელებს, მიიღებს „სპორტლოტოს" პრიზს და პერსონალურ მიწვევას ტირაჟზე.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

# ჩოგბურთის ამბები

1973 წელს დალასში (ტეხასის შტატი, აშშ) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი მოეწყობა. მანამდე კი ჩემპიონატის 64 მონაწილე ორ ჯგუფად დაიყო (თითოში 32 კაცი შედის) და 11 შესარჩევ ტურნირში ითამაშებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

თითოეული ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო იბრძოლებს ფინალურ ტურნირში, რომელიც მაისში გაიმართება. ამ ტურნირში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონის წოდებასთან ერთად 100 ათას დოლარს მიიღებს.

„ა" ჯგუფში სხვებთან ერთად მოხვდნენ უიმბლდონის ტურნირის ყოფილი ჩემპიონი, ავსტრალიელი როდ ლეივერი და ახლანდელი ჩემპიონი, ამერიკელი სტენ სმითი.

„ბ" ჯგუფში არიან: ავსტრალიელი კენ როზუოლი, ამერიკელი არტურ ეში, ჰოლანდიელი ტომ ოკერი, ჩეხოსლოვაკიელი იან კოდეში, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები როჯერ ტეილორი, მარკ კოქსი, გრეჰემ სტილველი და კიდევ ბევრი სხვა ძლიერი ჩოგბურთელი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტურნირში არ მონაწილეობენ საქვეყნოდ ცნობილი ჩოგბურთელები — ავსტრალიელი ჯონ ნიუკომბი და რუმინელი ილიე ნასტასე.

• • •

37 წლის ავსტრალიელი ჩოგბურთელი კ. როზუოლი 1957 წლიდან პროფესიონალთა რიგებში ირიცხება, მაგრამ ალბათ გაისიდან ავსტრალიის გუნდს ჩაუდგება სათავეში დევისის თასის მორიგ გათამაშებაში, პირველად — თხუთმეტი წლის შემდეგ.

(საქ. ინფ.).



## ობიექტივში მსოფლიო

ამ სურათით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპორტსმენი და ცხენი მიწამ შთანთქა. სინამდვილეში კი რ. ტეილორს თავისი ცხენი კენტუკის ქალაქ ლექსინგტონ ტროტსის იპოდრომის მთავარი ბილიკის ქვეშ გაკეთებულ გვირაბში შეჰყავს ვარჯიშის შემდეგ.

● ●



ორმა ინგლისელმა რ. ჯონსონმა (მარჯვნივ) და პ. გარსვეიტმა ველოსიპედებით უზარმაზარი გზა განვლეს: ლონდონიდან სიდნეიში ჩავიდნენ. ეს ფოტო მოგზაურობის დაწყებიდან სამთვენახევრის შემდეგაა გადაღებული ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში. სანამ ბანგკოკამდე ჩააღწევდნენ, ველოსიპედისტებმა გაიარეს ჰოლანდია, ბელგია, დასავლეთ გერმანია, ავსტრია, იუგოსლავია, საბერძნეთი, ლიბანი, სირია, ერაყი, ირანი, ავღანეთი, პაკისტანი და ინდოეთი.

ბანგკოკის დატოვების შემდეგ ეს მამაცი წყვილი გაემართა მალაიზიაში, შემდეგ ინდონეზიაში და ბოლოს ავსტრალიის გზებით სიდნეიში ჩავიდა.

გზად ველოსიპედისტებს ბევრი ფათერაკი გადახდათ. აი, თუნდაც ასეთი ამბავი: ერთ დღეს, როცა წყნარად ეძინათ ერაყში, ისინი გააღვიძეს ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა კაცებმა. მოკლე მოლაპარაკების შემდეგ ყველაფერი გაირკვა — ინგლისელ სპორტსმენებს ტყვიამფრქვევები არ აინტერესებდათ, ის კაცები კი სწორედ ამ იარაღითა და ხელყუმბარებით მოვაჭრე ბანდა აღმოჩნდა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

24 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა პერმში ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „ზვეზდასთან" — 1:1.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 2:2, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ალგა" (ფრუნზე) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 3:3, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 2:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქ." | 34 | 21 | 7 | 6 | 64—31 | 49 |
| „შახტ." (დ.) | 36 | 17 | 13 | 6 | 50—19 | 47 |
| „ჩერნომ." | 36 | 19 | 8 | 9 | 64—34 | 46 |
| „კრ. სოვ." | 36 | 14 | 16 | 6 | 49—32 | 44 |
| „ზვეზდა" | 37 | 14 | 15 | 8 | 40—34 | 43 |
| „ტორპედო" | 35 | 17 | 6 | 12 | 44—30 | 40 |
| „შინიკი" | 36 | 15 | 10 | 11 | 38—38 | 40 |
| „პამირი" | 35 | 12 | 12 | 11 | 47—46 | 36 |
| „შახტ." (ყ.) | 37 | 11 | 13 | 13 | 36—46 | 35 |
| „სპარტაკი" | 36 | 12 | 10 | 14 | 42—48 | 34 |
| „მეტალურ." | 36 | 13 | 7 | 16 | 45—43 | 33 |
| „ნისტრუ" | 36 | 11 | 11 | 14 | 36—42 | 33 |
| „ალგა" | 36 | 9 | 14 | 13 | 36—40 | 32 |
| „ტექსტილ." | 36 | 10 | 12 | 14 | 34—48 | 32 |
| „ავტომობ." | 36 | 8 | 16 | 12 | 27—41 | 32 |
| „მეტალისტ." | 36 | 9 | 12 | 15 | 31—38 | 30 |
| „სტროიტ." | 36 | 10 | 10 | 16 | 33—53 | 30 |
| „კრივბასი" | 36 | 9 | 10 | 17 | 47—58 | 28 |
| „დინამო" | 36 | 7 | 13 | 16 | 30—49 | 27 |
| „ურალმ." | 36 | 9 | 9 | 18 | 34—57 | 27 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი" (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „კახეთი" (თელავი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

პირველი ნახევრის ორმხრივ იერიშებს შედეგი არ მოუცია, ხოლო 62-ე წუთზე მაისურაძის გოლმა გამარჯვება მოუტანა „კახეთს".

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ივერია" (ხაშური) 5:5. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ამ უხვგოლიან მატჩში მასპინძლები 89-ე წუთისთვის წინ იყვნენ ანგარიშით 5:4. ამ მომენტში მათს კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ლომთაძემ.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სულორი" (ვანი) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა სამტრედიელმა კალაძემ. 76-ე წუთზე სოსელიამ გაქვითა ეს გოლი, მაგრამ სულ ცოტა ხანში „სულორის" კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა მანჯგალაძის დარტყმის შემდეგ.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „სამცხე" (აწყური) 3:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

● „განთიადი" (ბორჯომი) — „ისანი" (თბილისი) 2:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

გაფრთხილება მიიღო ისნელ თ. სუხაშვილმა. ეს ფეხბურთელი წლევანდელ სეზონში მეორედაა გაფრთხილებული.

● „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:1. მსაჯი გ. პოღოსიანი (სოხუმი).

მე-6 წუთზე გორელი გამესწარაშვილის დარტყმამ მიზანს მიაღწია.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია წულუკიძელი ს. კინწურაშვილი.

● „მუქურა" (ქობულეთი) — ასკ (თბილისი) 0:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

არმიელებმა დარჯანიამ და ლომიძემ პირველ ტაიმში ორი ბურთი გაიტანეს „მუქურას" კარში. შესვენების შემდეგ მასპინძლებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილებულია არმიელი გ. ლომიძე.

● „გიგანტი" (ლაითური) — „მუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ა. ქვერნაძე (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე" (ტიბაანი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 1:0, „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 4:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „შევარდენი" (თბილისი) 1:0.

ახალციხის „მესხეთს" მოგება ჩაეთვალა ბოლნისის „მევენახესთან", ხოლო ასპინძის „ვარძიას" — ყვარლის „დურუჯთან".

#### II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — „დიოსკურია" (სოხუმი) 3:1, „დინამო" (ქუთაისი) — „სქური" (წალენჯიხა) 3:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სალხინო" (მაიაკოვსკი) 1:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „განახლება" (ადიგენი) 2:2, „კომეტა" (ფოთი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:1, „განთიადი" (აბაშა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:2.

### ზონალური შეჯიბრება

„ლიახვი" (გორის რაიონი) — „ავტომობილისტი" (ჩაქვი) 3:1, „რუბეროიდი" (გარდაბანი) — „ფეიქარი" (ქუთაისი) 0:1, ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) — კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო" (ოჩამჩირე) 3:2.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 34 | 24 | 8 | 2 | 62—31 | 56 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 34 | 22 | 8 | 4 | 72—31 | 52 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 33 | 18 | 9 | 6 | 57—25 | 45 |
| „მუქურა" (ქობულეთი) | 35 | 14 | 11 | 10 | 47—51 | 39 |
| „კახეთი" (თელავი) | 33 | 16 | 6 | 11 | 50—48 | 38 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 34 | 12 | 13 | 9 | 58—50 | 37 |
| „სულორი" (ვანი) | 35 | 14 | 9 | 12 | 39—33 | 37 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 34 | 12 | 12 | 10 | 32—33 | 36 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 33 | 13 | 9 | 11 | 59—43 | 35 |
| „ისანი" (თბილისი) | 35 | 11 | 12 | 12 | 33—35 | 34 |
| „სამცხე" (აწყური) | 34 | 12 | 8 | 14 | 58—53 | 32 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 34 | 13 | 5 | 16 | 54—51 | 31 |
| ასკ (თბილისი) | 33 | 8 | 14 | 11 | 39—38 | 30 |
| „ივერია" (ხაშური) | 34 | 12 | 6 | 16 | 36—58 | 30 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 33 | 11 | 7 | 15 | 36—51 | 29 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 34 | 11 | 7 | 16 | 44—59 | 29 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 33 | 9 | 10 | 14 | 25—36 | 28 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 32 | 9 | 9 | 14 | 41—44 | 27 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 33 | 7 | 10 | 16 | 47—60 | 24 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 34 | 5 | 9 | 20 | 24—49 | 19 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 32 | 5 | 8 | 19 | 16—50 | 18 |

## ჩემპიონთა თასზე, უეფა-ს თასზე

**მიუნხენი, 24 ოქტომბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბაიერნი" და ნიქოზიის „ომონია". მასპინძლები იოლად გაუმკლავდნენ მეტოქეს — 9:0 (4:0). კიპროსელთა კარში ხუთი ბურთი გაიტანა გ. მიულერმა.

**სტავანგერი, 24 ოქტომბერი.** უეფა-ს თასის გათამაშების მორიგ მატჩში შვეციის „ვიკინგმა" გერმანიის „კიოლნს" უმასპინძლა. გაიმარჯვეს შვედებმა — 1:0 (0:0). ეს გუნდები II ჯგუფში გამოდიან.

**ლივერპული, 24 ოქტომბერი.** უეფა-ს თასის გათამაშების III ჯგუფის გუნდების — ინგლისის „ლივერპულისა" და საბერძნეთის აეკ-ის აქ გამართული შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 3:0 (2:0).

● *კისლოვოდსკი, 24 ოქტომბერი. ჩიგორინის საერთაშორისო მემორიალში სამი ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი შტეინი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. ლიდერს კვალში მიჰყვება საბჭოთა ჭადრაკის ვეტერანი, 60 წლის საერთაშორისო ოსტატი, რსფსრ-ს არაერთგზის ჩემპიონი რ. ნეჟმეტდინოვი — 2 ქულა და 1 უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია. დიდი ინტერესი გამოიწვია გელერ — პოლუგაევსკის შეხვედრამ. მე-12 სვლაზე გელერმა მოულოდნელად მხედარი შესთავაზა მეტოქეს. პოლუგაევსკიმ 40 წუთზე მეტი იფიქრა, შეწირვა მიიღო და... შეტევაც მოიგერია. შემდგომში უფიგუროდ დარჩენილმა გელერმა დროს გადააცილა. უცხოელთაგან ჯერჯერობით ყველაზე კარგად თამაშობს უნციკერი (გფრ), რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ლანგევეგთან და დანიელ იაკობსენს სძლია.*

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. — უე 10252